ტრენინგი სამცხე-ჯავახეთის ადგილობრივი ასოციაციების წარმომადგენლებისათვის

5 ივლისს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ პროექტის □□□□□□ ასოციაციების როლის გაძლიერება საქართველოს დემოკრატიული პროცესების განვითარებაში A ფარგლებში ორგანიზებული იქნა ტრენინგი თემაზე: ადგილობრივი თვითმმართველობა (კანონმდებლობა და ფუნქციონირება).

20 ივლისს ორგანიზებული ტრენინგის თემას წარმოადგენდა სახელმწიფო ქონების,

არასასოფლო-სამეურნეო და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზაციის საკითხები.

ტრენინგში მონაწილეობა მიიღო სამცხე-ჯავახეთის ადგილობრივი ასოციაციების 20-მდე წარმომადგენელმა. მონაწილეებს გადაეცათ სასემინარო მასალები.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ტრენინგების ჩატარება ისეთ აქტუალურ თემებზე როგორიცაა: ინფორმაციის თავისუფლება, ადმინისტრაციული პროცედურები ადგილობრივი ბიუჯეტი და სხვა. პრიორიტეტი მიენიჭება ასევე თავად ადგილობრივი ასოციაციების წარმომადგენლების მიერ შერჩეულ სასემინარო თემებს.

სამცხე-ჯავახეთის ადგილობრივი ასოციაციების წარმომადგენლებისათვის ტრენინგი ჩატარებული იქნა საიას გორის ოფისის ხელმძღვანელის - ქეთევან ბებიაშვილის მიერ.

30-თვიანი პროექტი დაფინანსებულია ავსტრიის განვითარების სააგენტოს (ADA) მიერ, რომელიც ხორციელდება CARE ავსტრიისა და CARE საერთაშორისო კავკასიაში მიერ, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საერთაშორისო ორგანიზაცია Civitas Georgica.